

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №28
2022 წლის 22 დეკემბერი

ქ. ვანი

„ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, სამტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობების, საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N25 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.ვ“, „დ.დ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და 23-ე მუხლის შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

1. „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, სამტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობების, საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N25 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 30/12/2021 წელი, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.121.016439) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

ა) დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი N1 შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს ამ დადგენილების დანართი N1-ის შესაბამისად;

ბ) დადგენილების მეორე მუხლით დამტკიცებული დანართი N2 შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს ამ დადგენილების დანართი N2-ის შესაბამისად;

გ) დადგენილების მესამე მუხლით დამტკიცებული დანართი N3 შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს ამ დადგენილების დანართი N3-ის შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2023 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ვანის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ალექსანდრე ლილუაშვილი

დანართი №1

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობები

N	თანამდებობის დასახელება	თანამდებობრივი სარგო (ლარი)
1	საკრებულოს თავმჯდომარე	4960
2	საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	3750
3	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	3270
4	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	2660
5	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	2420
6	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	1930



ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხა და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობები

№	თანამდებობის დასახელება	თანამდებობრივი რანგი	საშტატო ერთეული	თანამდებობრივი სარგო (ლარი)
1	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – აპარატის უფროსი	I	1	2750
იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილება				
2	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – განყოფილების უფროსი	II	1	2000
3	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი – განყოფილების უფროსის მოადგილე იურიდიულ საკითხებში	III	1	1450
4	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი – განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში	III	1	1450
5	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში	III	1	1210
6	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში	III	1	1210
7	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში	III	1	1210
ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების განყოფილება				
8	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – განყოფილების უფროსი	II	1	2000
9	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი – განყოფილების უფროსის მოადგილე ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში	III	1	1450
10	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი – განყოფილების უფროსის მოადგილე საქმისწარმოების საკითხებში	III	1	1450
11	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში	III	1	1210
12	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში	III	1	1210
13	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ფინანსურ საკითხებში	III	1	1210
ს უ ლ			13	22380



ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა და შრომითი ანაზღაურების ოდენობები

№	პოზიციის დასახელება	რაოდენობა	შრომითი ანაზღაურების ოდენობა (ლარი)
1	საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე	1	1000
2	საკრებულოს თავმჯდომარის მძღოლი	1	1430
3	საკრებულოს თავმჯდომარის მდივანი	1	1000
4	აიტი სპეციალისტი	1	1210
5	სპეციალისტი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში	1	1000
6	სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში	1	1000
ს უ ლ		6	6640

